ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 05-03/46-2023

ქ. თბილისი

თებერვალი 2023 წელი

ერთი მხრივ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.#77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კარლო კოპალიანის სახით (,,შემსყიდველი"), და მეორე მხრივ - შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული საკონსულტაციო ცენტრი ,,გეოგრაფიკი" (მისამართი: თბილისი, გამსახურდიას გამზ. 27)

წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გოცირიძის სახით (,,მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1] " ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის FR-21-427 დაფინანსების ფარგლებში;**

CPV კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
22114300	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ციფრული სქემატური რუკა ვექტორულ ფორმატში (ზომა A4, ფორმატი pdf.)	1 ცალი	131.93 ლარი	131.93 ლარი
22114300	რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ციფრული რუკა ვექტორულ ფორმატში ნიადაგში დარიშხანის კონცენტრაციის ჩვენებით(ზომა A4, ფორმატი pdf.)	1 ცალი	131.93 ლარი	131.93 ლარი

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 263.86 (ასი) ლარი.

2.2 ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის FR-21-427 ხელმძღვანელი ლალი შავლიაშვილი, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირი შემსყიდველის მხრიდან - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის FR-21-427 ხელმძღვანელი ლალი შავლიაშვილი.

4. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი

4.1 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 77. სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსში მდებარე საწყობი.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები *და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.*(იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად).

6. უფლებების გადაცემა

6.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1 მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მაისამდე.

11. სხვა პირობები

11.1ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მიმწოდებელი: შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული საკონსულტაციო ცენტრი ,,გეოგრაფიკი"
მის: კოსტავას ქ. #77 სახელმწიფო ხაზინა ა.ა. #70897759 ს.კ. 211349192 ბანკის კოდი TRESGE22	მის: თბილისი, გამსახურდიას გამზ. 27 თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა.ა GE55TB0600000017467328 ს.კ. 204920309
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კ. კოპალიანი -----------	დირექტორი გ.გოცირიძე George Gotsiridze 01008010436 Digitally signed by George Gotsiridze Date: 2023.02.20 13:00:48